

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №212  
2018 წლის 23 თებერვალი

ქ. თეთრიწყარო

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №191 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №191 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 27/12/2017, სარეგ. კოდი 190020020.35.157.016295) დამტკიცებულ დანართში „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი“ და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გოჩა თედორაძე

დანართი 1

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი  
თავი I

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
		მათ შორის			მათ შორის					
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	11,268.0	10,129.1	2,871.9	7,257.2	9,457.0	2,137.0	7,320.0	7,380.0	7,610.0	7,910.0
გადასახადები	3,374.2	3,365.1	0.0	3,365.1	2,800.0	0.0	2,800.0	2,955.0	3,055.0	3,155.0
გრანტები	7,508.5	6,403.5	2,871.9	3,531.6	6,248.6	2,137.0	4,111.6	4,117.0	4,220.0	4,392.0
სხვა შემოსავლები	385.3	360.5	0.0	360.5	408.4	0.0	408.4	308.0	335.0	363.0
ხარჯები	6,106.1	6,395.0	130.0	6,265.0	7,231.5	0.6	7,230.9	6,784.7	7,068.7	7,358.7
შრომის										



ანაზღაურება	1,738.4	1,363.9	0.0	1,363.9	2,140.7	0.0	2,140.7	1,366.6	1,365.6	1,365.6
საქონელი და მომსახურება	1,692.6	2,122.5	130.0	1,992.5	2,168.5	0.6	2,167.9	2,272.4	2,327.4	2,392.4
პროცენტი	141.2	139.6	0.0	139.6	110.1	0.0	110.1	203.3	203.3	203.3
სუბსიდიები	1,939.9	2,215.3	0.0	2,215.3	2,208.0	0.0	2,208.0	2,460.0	2,605.0	2,830.0
გრანტები	0.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	516.1	417.7	0.0	417.7	280.0	0.0	280.0	435.0	510.0	530.0
სხვა ხარჯები	77.9	116.0	0.0	116.0	304.2	0.0	304.2	47.4	57.4	37.4
საოპერაციო სალდო	5,161.9	3,734.1	2,741.9	992.2	2,225.5	2,136.4	89.1	595.3	541.3	551.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,475.4	5,010.1	3,659.5	1,350.6	4,234.0	2,942.6	1,291.4	392.0	338.0	348.0
ზრდა	2,529.7	5,034.5	3,659.5	1,375.0	4,254.0	2,942.6	1,311.4	412.0	368.0	388.0
კლება	54.3	24.4	0.0	24.4	20.0	0.0	20.0	20.0	30.0	40.0
ზრდა	2,686.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	1,339.7	917.6	422.1	2,154.7	806.2	1,348.5	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1,339.7	917.6	422.1	2,154.7	806.2	1,348.5	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	63.7	0.0	63.7	146.2	0.0	146.2	203.3	203.3	203.3
საშინაო	0.0	63.7	0.0	63.7	146.2	0.0	146.2	203.3	203.3	203.3
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
		მათ შორის			მათ შორის					
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსულობები	11,322.3	10,153.5	2,871.9	7,281.6	9,477.0	2,137.0	7,340.0	7,400.0	7,640.0	7,950.0



შემოსავლები	11,268.0	10,129.1	2,871.9	7,257.2	9,457.0	2,137.0	7,320.0	7,380.0	7,610.0	7,910.0
არაფინანსური აქტივების კლება	54.3	24.4	0.0	24.4	20.0	0.0	20.0	20.0	30.0	40.0
გადასახდელები	8,635.8	11,493.2	3,789.5	7,703.7	11,631.7	2,943.2	8,688.5	7,400.0	7,640.0	7,950.0
ხარჯები	6,106.1	6,395.0	130.0	6,265.0	7,231.5	0.6	7,230.9	6,784.7	7,068.7	7,358.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,529.7	5,034.5	3,659.5	1,375.0	4,254.0	2,942.6	1,311.4	412.0	368.0	388.0
ვალდებულების კლება	0.0	63.7	0.0	63.7	146.2	0.0	146.2	203.3	203.3	203.3
ნაშთის ცვლილება	2,686.5	-1,339.7	-917.6	-422.1	-2,154.7	-806.2	-1,348.5	0.0	0.0	0.0

**მუხლი 3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 9457,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	11,268.0	10,129.1	2,871.9	7,257.2	9,457.0	2,137.0	7,320.0	7,380.0	7,610.0	7,910.0
გადასახადები	3,374.2	3,365.1	0.0	3,365.1	2,800.0	0.0	2,800.0	2,955.0	3,055.0	3,155.0
გრანტები	7,508.5	6,403.5	2,871.9	3,531.6	6,248.6	2,137.0	4,111.6	4,117.0	4,220.0	4,392.0
სხვა შემოსავლები	385.3	360.5	0.0	360.5	408.4	0.0	408.4	308.0	335.0	363.0

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2 800,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
გადასახადები	3 374,2	3 365,1	0,0	3 365,1	2 800,0	0,0	2 800,0	2 955,0	3 055,0	3 155,0
საშემოსავლო გადასახადი	256,8	547,6	0,0	547,6	100,0	0,0	100,0	100,0	100,0	100,0
ქონების გადასახადი	3 117,4	2 817,5	0,0	2 817,5	2 700,0	0,0	2 700,0	2 855,0	2 955,0	3 055,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 817,4	1 602,4	0,0	1 602,4	2 000,0	0,0	2 000,0	2 100,0	2 200,0	2 300,0



ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	22,5	26,4	0,0	26,4	5,0	0,0	5,0	5,0	5,0	5,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,0	0,2	0,0	0,2	3,0	0,0	3,0	3,0	3,0	3,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	22,5	26,2	0,0	26,2	2,0	0,0	2,0	2,0	2,0	2,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	414,8	399,7	0,0	399,7	250,0	0,0	250,0	250,0	250,0	250,0
ფიზიკური პირებიდან	279,9	267,2	0,0	267,2	150,0	0,0	150,0	150,0	150,0	150,0
იურიდიული პირებიდან	134,9	132,5	0,0	132,5	100,0	0,0	100,0	100,0	100,0	100,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	862,7	789,0	0,0	789,0	445,0	0,0	445,0	500,0	500,0	500,0
ფიზიკური პირებიდან	50,0	29,6	0,0	29,6	30,0	0,0	30,0	50,0	50,0	50,0
იურიდიული პირებიდან	812,7	759,4	0,0	759,4	415,0	0,0	415,0	450,0	450,0	450,0

### მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6248,6 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
		მათ შორის			მათ შორის					
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
გრანტები	7,508.5	6,403.5	2,871.9	3,531.6	6,248.6	2,137.0	4,111.6	4,117.0	4,220.0	4,392.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7,508.5	6,403.5	2,871.9	3,531.6	6,248.6	2,137.0	4,111.6	4,117.0	4,220.0	4,392.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4,018.9	3,531.6	0.0	3,531.6	4,111.6	0.0	4,111.6	4,117.0	4,220.0	4,392.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	3,801.9	3,314.6	0.0	3,314.6	3,894.6	0.0	3,894.6	3,900.0	4,000.0	4,100.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	217.0	217.0	0.0	217.0	217.0	0.0	217.0	217.0	220.0	292.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3,489.6	2,871.9	2,871.9	0.0	2,137.0	2,137.0	0.0	0.0	0.0	0.0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	1,830.3	2,731.6	2,731.6	0.0	1,996.7	1,996.7	0.0	0.0	0.0	0.0



სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	705.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>სხვა პროექტები</b>	<b>954.2</b>	<b>140.3</b>	<b>140.3</b>	<b>0.0</b>	<b>140.3</b>	<b>140.3</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	954.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	140.3	140.3	0.0	140.3	140.3	0.0	0.0	0.0	0.0

## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 343.4 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>385,3</b>	<b>360,5</b>	<b>0,0</b>	<b>360,5</b>	<b>343,4</b>	<b>0,0</b>	<b>343,4</b>	<b>258,0</b>	<b>275,0</b>	<b>298,0</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	193,7	153,5	0,0	153,5	160,4	0,0	160,4	150,0	167,0	180,0
პროცენტები	113,6	87,8	0,0	87,8	80,0	0,0	80,0	80,0	90,0	100,0
რენტა	80,1	65,7	0,0	65,7	80,4	0,0	80,4	70,0	77,0	80,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	72,5	56,2	0,0	56,2	73,0	0,0	73,0	70,0	77,0	80,0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	7,6	9,5	0,0	9,5	7,4	0,0	7,4	0,0	0,0	0,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	73,9	89,5	0,0	89,5	23,0	0,0	23,0	8,0	8,0	8,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	9,2	21,1	0,0	21,1	23,0	0,0	23,0	8,0	8,0	8,0
სანებართვო მოსაკრებელი	9,0	19,7	0,0	19,7	15,0	0,0	15,0	6,0	6,0	6,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	0,2	1,4	0,0	1,4	8,0	0,0	8,0	2,0	2,0	2,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	64,7	68,4	0,0	68,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	64,7	68,4	0,0	68,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>95,5</b>	<b>117,5</b>	<b>0,0</b>	<b>117,5</b>	<b>160,0</b>	<b>0,0</b>	<b>160,0</b>	<b>100,0</b>	<b>100,0</b>	<b>110,0</b>



შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	22,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
------------------------------------------------	------	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7231,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
		მათ შორის		მათ შორის						
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
ხარჯები	6,106.1	6,395.0	130.0	6,265.0	7,231.5	0.6	7,230.9	6,784.7	7,068.7	7,358.7
შრომის ანაზღაურება	1,738.4	1,363.9	0.0	1,363.9	2,140.7	0.0	2,140.7	1,366.6	1,365.6	1,365.6
საკონელი და მომსახურება	1,692.6	2,122.5	130.0	1,992.5	2,168.5	0.6	2,167.9	2,272.4	2,327.4	2,392.4
პროცენტი	141.2	139.6	0.0	139.6	110.1	0.0	110.1	203.3	203.3	203.3
სუბსიდიები	1,939.9	2,215.3	0.0	2,215.3	2,208.0	0.0	2,208.0	2,460.0	2,605.0	2,830.0
გრანტები	0.0	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	516.1	417.7	0.0	417.7	280.0	0.0	280.0	435.0	510.0	530.0
ხვა ხარჯები	77.9	116.0	0.0	116.0	304.2	0.0	304.2	47.4	57.4	37.4

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4234.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა (ხარჯები) 4254.0 ათასი ლარის ოდენობით:

ორგ.კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	31.0	6.4	9.4	0.0	0.0	0.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2,498.7	5,028.1	4,244.6	412.0	368.0	388.0
04 00	განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა და სპორტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური						



06 00	უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სულ	2,529.7	5,034.5	4,254.0	412.0	368.0	388.0

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავლები) 20.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
არაფინანსური აქტივების კლება	27.2	24.4	20.0	20.0	30.0	40.0
ძირითადი აქტივები	0.0	3.7	0.0	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	27.2	20.7	20.0	20.0	30.0	40.0
მიწა	27.2	20.7	20.0	20.0	30.0	40.0

### მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,496.9	2,260.3	3,055.1	2,181.9	2,191.9	2,171.9
7011	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,496.9	2,260.3	3,055.1	2,180.9	2,190.9	2,170.9
70111	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,496.9	2,260.3	2,893.1	2,140.9	2,140.9	2,140.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	162.0	40.0	50.0	30.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	0.0	1.0	1.0	1.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0.0	0.0	0.0	1.0	1.0	1.0
702	თავდაცვა	90.9	86.6	110.6	91.6	90.6	90.6
704	ეკონომიკური საქმიანობა	884.2	3,136.2	2,929.9	812.5	773.5	748.5
7045	ტრანსპორტი	308.0	2,965.4	2,839.6	807.6	768.6	743.6
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	308.0	2,965.4	2,839.6	807.6	768.6	743.6
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	576.2	170.8	90.3	4.9	4.9	4.9
705	გარემოს დაცვა	788.9	1,968.0	1,683.5	963.0	1,013.0	1,063.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	555.1	647.6	934.0	955.0	1,005.0	1,055.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	5.1	623.8	318.6	8.0	8.0	8.0



7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	228.7	696.6	430.9	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,979.5	1,672.0	1,557.1	661.0	661.0	821.0
7061	ბინათმშენებლობა	795.2	672.1	556.5	0.0	0.0	50.0
7063	წყალმომარაგება	873.9	736.8	742.1	311.0	311.0	411.0
7064	გარე განათება	310.4	263.1	258.5	350.0	350.0	360.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	85.1	82.9	100.0	90.0	100.0	110.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	85.1	82.9	100.0	90.0	100.0	110.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	872.6	866.2	894.5	985.0	1,100.0	1,195.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	164.3	164.4	172.0	200.0	220.0	250.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	708.3	701.8	722.5	785.0	880.0	945.0
709	განათლება	714.1	774.3	820.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	714.1	774.3	820.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
710	სოციალური დაცვა	723.6	646.7	481.0	615.0	710.0	750.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	361.0	293.8	180.0	250.0	300.0	300.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	361.0	293.8	180.0	250.0	300.0	300.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	149.9	159.8	165.0	180.0	200.0	220.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	115.2	84.5	60.0	115.0	140.0	160.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	97.5	108.6	76.0	70.0	70.0	70.0
	სულ	8,635.8	11,493.2	11,631.7	7,400.0	7,640.0	7,950.0

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 1898,4 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ათასი ლარის ოდენობით.

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება (გარდამავალი ნაშთი) 2154,7 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 256,3 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით





მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 162,0 ათასი ლარის ოდენობით და ხარჯვის განკარგვა მოხდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

#### **მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 217.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 100.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 110,6 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 6,4 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

#### **მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **თავი II**

#### **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2018-2021 წლების პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები**

#### **მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

##### **1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა, შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

##### **1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გაწმენდა, აღნიშნულ ღონისძიებებისთვის განსაზღვრულია 32,5 ათასი ლარი. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს შორის 2015 წელს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად (სესხის დაფარვა) გათვალისწინებულია 203,3 ათასი ლარი. საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა 164.0 ათასი ლარი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად – 32,0 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის №2627 განკარგულებით გამოყოფილი 1801,2 ათასი ლარიდან 2018 წელს 95.4 ათასი ლარით დაფინანსდება:

- ქალაქ თეთრიწყაროში თავდადებულის ქუჩის რეაბილიტაცია მოასფალტებაზე – 80.6 ათასი ლარი, ამავე პროექტის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით განისაზღვროს – 14.8 ათასი ლარი.



- ქალაქ თეთრიწყაროში გამსახურდიას, პუშკინის, წერეთლის და რუსთაველის ჩიხის რეაბილიტაცია – მოასფალტებაზე 14.8 ათასი ლარი, ამავე პროექტის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით განისაზღვროს – 3,7 ათასი ლარი.
- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხების გამოყოფის შესახებ“ 2017 წლის 15 დეკემბრის №2626 განკარგულების შესაბამისად სოფელ კოდაში გამავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი – 300.7 ათასი ლარიდან 2018 წელს გათვალისწინებული იქნას – 28.7 ათასი ლარი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №1280 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაზე გამოყოფილი 130,6 ათასი ლარიდან 2018 წელს გათვალისწინებული იქნას 0.6 ათასი ლარი

სოფელ ასურეთში ყაზბეგის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის განისაზღვროს 100,0 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით გამოყოფილი 1 996.747 ლარით და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 105,2 ათასი ლარით დაფინანსდეს შემდეგი პროექტები:

- სოფ. ქოსალარში მისასვლელი ცენტრალური გზის მოასფალტება – 800,0 ათასი ლარი;
- ქ. თეთრიწყაროში დუმბაძის ქუჩისა და ჩიხის რეაბილიტაცია – 234,7 ათასი ლარი;
- ქ. თეთრიწყაროში ჯავახიშვილის ქუჩის დარჩენილი ნაწილის და ჩიხების რეაბილიტაცია – 168,6 ათასი ლარი;
- სოფ. მაწევანში მისასვლელი ცენტრალური გზის მოასფალტება – 400,0 ათასი ლარი;
- სოფელ ახალშენის გზის რეაბილიტაცია – 498,5 ათასი ლარი;

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსების სახით გათვალისწინებული – 62,7 ათასი ლარით დაფინანსდეს:

- ქ. თეთრიწყაროში გურამიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია – 14,0 ათასი ლარი;
- სოფელ ენაგეთის გზის რეაბილიტაცია – 48.7 ათასი ლარი;

## 1.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება.

### 1.2.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების (სასმელი წყლის) ქსელის მოვლა-შენახვა. ბიუჯეტის ფარგლებში 300,0 ათასი ლარით დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყარო-წყალი“, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების ქსელის რეაბილიტაციას და მათ მოვლა-შენახვას.

სოფელ ქოსალარში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და სისტემის მოწყობის სამუშაოებისთვის განისაზღვროს 43,0 ათასი ლარი (2017-2018 წ.წ.)

სოფელ ჩიკვთაში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და სისტემის მოწყობის სამუშაოებისთვის განისაზღვროს 14,0 ათასი ლარი (2017-2018 წ.წ.)

სოფელ ღოუბნის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებისთვის განისაზღვროს 255,1 ათასი ლარი საგრანტო ხელშეკრულების გათვალისწინებით ზემოხსენებულ სამუშაოებზე გრანტის სახით გათვალისწინებულია თანხის 85 %. (საფუძველი საქართველოს მთავრობის 28 დეკემბრის №2741 განკარგულება „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ტექ. პირობის ასაღებად განისაზღვროს 10,0 ათასი ლარი.



წყალმომარაგების სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მოსამზადებლად განისაზღვროს 20,0 ათასი ლარი.

სოფელ ირაგისა და სოფელ ალექსეევკის წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის განისაზღვროს 100,0 ათასი ლარი.

### **1.2.2. საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროში მდებარე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები. ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, რომლისათვისაც გათვალისწინებულია 5,6 ათასი ლარი.

„მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის №693 განკარგულების თანახმად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის დაბა მანგლისში თამარ მეფის ქუჩის, სტალინის ქუჩის, დემეტრაშვილის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოებისათვის განსაზღვრული 300,0 ათასი ლარიდან 2018 წელს დაფინანსდეს 292,8 ათასი ლარი.

დაბა მანგლისში თამარ მეფის ქუჩაზე სანიაღვრე არხების, საკანალიზაციო მაგისტრალზე დაერთებების სრულად და იოანე მანგლელის ქუჩაზე მდებარე კორპუსების საკანალიზაციო მაგისტრალზე დაერთების მოწყობის სამუშაოს 5% თანადაფინანსებისთვის განისაზღვროს 20,2 ათასი ლარი ( $403,1 * 5\% = 20,2$ ).

### **1.2.3. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში 83,5 ათასი ლარით დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა. 170,0 ათასი ლარით დაფინანსდება გარე განათების ქსელის მიერ გახარჯული ელ. ენერჯის ღირებულება.

გარე განათების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მოსამზადებლად განისაზღვროს 5,0 ათასი ლარი

### **1.2.4. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, 817,0 ათასი ლარით დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. 4,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია ქალაქ თეთრიწყაროში ხეების გადაბეღვის სამუშაოებზე. უმეტესაყურედ დარჩენილი ძალების მოვლა-პატრონობაზე გათვალისწინებულია 25,0 ათასი ლარი.

ნაგავსაყრელის დასუფთავებისათვის გათვალისწინებულ იქნეს 20,0 ათასი ლარი.

ზერთული ხეების გადაბეღვისთვის გათვალისწინებულ იქნეს 15,0 ათასი ლარი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს შორის 2016 წელს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად (სესხის დაფარვა) გათვალისწინებულია 53,0 ათასი ლარი.

### **1.2.5. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 05)**

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №1340 განკარგულებით გამოყოფილი 843,3 ათასი ლარიდან 2018 წელს განსაზღვრულ იქნეს 226,7 ათასი ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1213 განკარგულების თანახმად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული 115,0 ათასი ლარიდან 2018 წელს დაფინანსდეს 32,1 ათასი ლარი (სოფელ გოლთეთის გზის რეაბილიტაცია).



სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 აგვისტოს №1679 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი 175.0 ათასი ლარიდან 2018 წელს დაფინანსდეს 172.1 ათასი ლარი (სოფელ დიდგორის, სოფელ კლდისის და სოფელ ზირბითის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები)

### **1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა.

#### **1.3.1. საბავშვო ბაღების სპორტული მოედნების და ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეთრიწყაროს ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია. მათ შორის, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, მშენებლობა და მრავალბინიანი შენობების სახურავების რეაბილიტაცია. ახალაშენებული საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2018 წელს დაფინანსდეს სოფელ ასურეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა - 12.7 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 8,3 ათასი ლარი.

სოფელ ლოუბანში სარიტუალო დარბაზის მოსაწყობად განისაზღვროს 61,9 ათასი ლარი (2017-2018 წ.წ.);

ქალაქ თეთრიწყაროში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის განისაზღვროს 126,5 ათასი ლარი (2017-2018 წ.წ.);

ქალაქ თეთრიწყაროში კოსტავას ქუჩა №5-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, მზრუნველობას მოკლებულთა სასადილოსა და ადმინისტრაციის მოსაწყობად საჭირო სამშენებლო სამუშაოებისთვის განისაზღვროს 91,0 ათასი ლარი (2017-2018 წ.წ.);

დ.მანგლისის სარიტუალო დარბაზის სახურავისა და სამზარეულოს მოწყობის სამუშაოებისთვის განისაზღვროს 61.0 ათასი ლარი;

სპორტული მოედნების, სკვერების მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადებისათვის განისაზღვროს 5,0 ათასი ლარი.

სოფელ გოლთეთში, სოფელ ჭივჭავში და ქ. თეთრიწყაროში („ნამტვრიანის“) სტადიონების მოწყობის სამუშაოებისთვის განისაზღვროს 100,0 ათასი ლარი.

არასაცხოვრებელი შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადებისათვის განისაზღვროს 30,0 ათასი ლარი

#### **1.3.2. ურბანული ტერიტორიის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.თეთრიწყაროს ურბანულ განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობისა და ახალგაზრდების ჩართულობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.თეთრიწყაროში, სოფელ კოდაში და დაბა მანგლისში 22,6 ათასი ლარის ღირებულების სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება, აგრეთვე 20,0 ათასი ლარით განხორციელდება ქვემო ქართლის რეგიონში რეგიონალური განვითარების სააგენტოს ფონდის თანადაფინანსება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე სიჩქარის შემზღვევადი ბარიერების შესყიდვა-მონტაჟისათვის 10,0 ათასი ლარი.

#### **1.3.3. მიწის აზომვითი და საპროექტო სამუშაოების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწების საკადასტრო აზომვითი ნახაზების – ღონისძიებების



### 1.3.4. ა(ა)იპ „მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდი“ (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა(ა)იპ „მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდი“-ს დაფინანსება, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების ხელშეწყობის მიზნით მართვის ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს დასახული მიზნების მიღწევას; საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეებისა და ორგანიზაციების ფულადი შემოწირულობებისა და სხვა ფინანსური საშუალებების მოზიდვა. მუნიციპალური ან სხვა წყაროებიდან მიღებული სახსრებით მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის საჭირო პროექტების განხორციელება.

### 1.3.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტოდან საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული 705,1 ათასი ლარიდან 2018 წელს დაფინანსდება 85,4 ათასი ლარი.

## 2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

### 2.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

